საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 695-02
01/04/2026

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლაში კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ

2025 წლის 22 დეკემბერს რექტორის N3945-02 ბრძანების საფუძველზე გამოცხადდა კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლაში კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე. საკონკურსო განცხადებების მიღების პერიოდი განსაზღვრული იყო ბრძანების მიხედვით 2026 წლის 2 მარტიდან 2026 წლის 16 მარტის ჩათვლით. ამ პერიოდში არცერთი განაცხადი არ შემოსულა უნივერსიტეტის კანცელარიაში. კონკურსის შედეგი უნდა დამტკიცდეს 2026 წლის 1 აპრილს.

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-6 პუნქტების, 31-ე, 32-ე მუხლების და 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების”, რექტორის 2025 წლის 22 დეკემბრის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლაში კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ “ N3945-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2025 წლის 19 დეკემბრის N12 და 2026 წლის 1 აპრილის N4 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის ტექნოლოგიების სკოლაში კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის საფუძველზე კომპიუტერული მეცნიერების მიმართულებით ასისტენტ- პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამარჯვებული არ გამოვლინდა.

2. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

3.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისათვის: ბიბლიოთეკა, საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი